პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან № 153 (15366)

1 ივლისი შაბათი 1972 წ. ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო [illegible]

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფესაბჭომ მიიღეს დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის წესისა და ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა წახალისების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და ორგანიზაციებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად.

მშრომელები თავიანთ მეცადინეობას ამჟამად 1972 წლის გეგმებისა და მეცხრე ხუთწლედის დავალებათა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, სოციალისტური საშრომლოს ძლიერების განმტკიცების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას.

ამ საბელოვანი თარიღის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში სულ უფრო ფართოდ ვლინდება მისი საუოველთაო-სახალხო ხასიათი, მტკიცდება ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მეგობრობა, თანამშრომლობა და ამხანაგური ურთიერთდახმარება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ დადგინეს დაწესონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საუბილეო სპპატიო ნიშანი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად იმ საწარმოების, კოლმეურნეობების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების კოლექტივთა დაჯილდოებისათვის, რომლებმაც უმაღლესი შედეგები მოიპოვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ამ საგულისხმო თარიღის აღსანიშნავად, და ფულადი პრემიები ამ სპპატიო ნიშნებით დაჯილდოებული კოლექტივებისათვის.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად საუბილეო სპპატიო ნიშნით დაჯილდოების შესახებ გადაწყვეტილება ერთობლივად გამოაქვს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს. საუბილეო სპპატიო ნიშანი გადაეცემა საზეიმო სხდომაზე, კრებაზე, მიტინგზე.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის დარბაზი და პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. პ. მჟავანაძე.

ბ. პიკაშაძის ფოტო. (საინფორმაციო ფოტოქრონიკა).

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესია

30 ივნისს რუსეთის სფსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე გრძელდებოდა განხილვა მოსკოვის რუსეთის სფს რესპუბლიკაში საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს ა. პ. კირილენკოს, ა. ი. პელშეს, დ. ს. პოლიანსკის, მ. ა. სუსლოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, დ. ფ. უსტინოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, პ. ფ. პატუშევს.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დადგენილება „რუსეთის სფსრ საავტომობილო გზების მშენებლობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

შემდეგ მოისმენება „რუსეთის სფსრ წყლის კოდექსის პროექტის შესახებ“ გააცნეთ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ტ. ს. ხუშკოვმა.

სესიამ ერთხმად მიიღო რუსეთის სფსრ კანონი რუსეთის ფედერაციის წყლის კოდექსის დამტკიცების შესახებ.

მეორე და მესამე სესიებს შორის რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული ბრძანებულებების შესახებ მოხსენება გააკეთა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ხ. ჰ. ნიშანოვმა.

უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

ამით რუსეთის სფსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიამ მუშაობა დაამთავრა. (საკდესი).

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კოლექტივს, მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, გაზეთის მკითხველებს მის 50 წლისთავს.

ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის დღეებში შობილი „ზარია ვოსტოკა“ პირველი ნომრიდანვე, რომელიც 1922 წლის 20 ივნისს გამოვიდა, აქტიურად იბრძოდა ამიერკავკასიის მომძე რესპუბლიკებში — აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში სოციალისტური გარდაქმნებისათვის, მათი ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი ამაღლებისათვის, გაზეთი პარტიულ ორგანიზაციებს ეხმარებოდა ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრულ განხორციელებაში.

„ზარია ვოსტოკას“ რესპუბლიკურ გაზეთად გარდაქმნის შემდეგ, იგი როგორც ყოველთვის, იყო უკვდავი ლენინური იდეების პროპაგანდისტი, როგორც საქართველოს კომუნისტური პარტიის მებრძოლი თანაშემწე, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, „ზარია ვოსტოკა“ მშრომელთა ფართო მასების აღაზნებდა ინდუსტრიალიზაციისათვის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის, ხუთწლიანი გეგმების დავალებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

დიდი სამამულო ომის წლებში, მკითხველებს რომ ზრდიდა მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, „ზარია ვოსტოკა“ მშრომელებს რაზმავდა მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად.

ახლა „ზარია ვოსტოკა“ დიდ მუშაობას ეწევა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ „ზარია ვოსტოკა“ კიდევ უფრო აამაღლებს კოლექტიური პროპაგანდისტისა და აგიტატორის, მასების კოლექტიური ორგანიზატორის როლს, უფრო წარმატებით დაარაზმავს საბჭოთა საქართველოს მშრომელებს ახალი მიღწევებისათვის კომუნისტური შრომებისათვის, რომ გაზეთი კვლავაც აქტიურად დაეხმარება თავის ფურცლებზე ხალხთა მეგობრობისა და ძმობის თემას, მშრომელებს აღზრდის სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კოლექტივს, მის მუშა და სოფლის კორესპონდენტებს ვუსურვებთ ახალ სახელოვან წარმატებებს შრომაში ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის, კომუნისტური საზოგადოების შენებლობაში ახალი გამარჯვებებისათვის.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისა და სამეურნეო-კულტურული მშენებლობის ამოცანათა შესასრულებლად მათი მობილიზაციისათვის, დაარსების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ჟვანიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაბაძე.

თბილისი, 1972 წ. 29 ივნისი.

საუბარი ა. ნ. კოსიგინთან

29 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მრეწველობის ფედერალური კავშირის პრეზიდენტი ჰ. ზელი.

საუბრის მსვლელობაში შეეხნენ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური კავშირურთიერთობის განვითარების საკითხებს იმ ვითარებაში, რომელიც იქმნება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმოწერების ძალაში შესვლის შედეგად.

საუბარში, რომელმაც მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ა. კირილინი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში უ. ზაში.

გაემგზავრა ლიბანის პარლამენტის დელეგაცია

30 ივნისს თბილისიდან კიევში გაფრინდა ლიბანის რესპუბლიკის დელეგაცია, რომელიც სამ დღეს ეცნობოდა საქართველოს ცხოვრებას.

აეროდრომზე ლიბანელი პარლამენტარები გააცილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. მჟავანაძემ, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. გოგუაშვილმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. კვაბაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა. (საინფორმაციო).

საზეიმო კრებათა თბილისში

პარტიისადმი ერთგულება, იდეური სიმტკიცე

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის 50 წლისთავის საზეიმო კრება, რომელიც 30 ივნისს გაიმართა თბილისში.

საქართველოს მშრომელთა საყვარელი გაზეთი, რომელიც ყოველდღე ესაუბრება როგორც კეთილი მეგობარი და მრჩეველი თავის ათეულათასობით მკითხველს, პარტიის საბრძოლო ორგანოა, მისი საიმედო და ერთგული თანაშემწეა.

მრავალი ათეული წლის მანძილზე გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ წარმატებით ასრულებს კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის მაღალ დანიშნულებას.

„ზარია ვოსტოკას“ ფურცლები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, პირველი საბჭოთა ხუთწლედების შრომითი ენთუზიაზმის, დიდი სამამულო ომის წლებში ქართველი ხალხის საბრძოლო გმირობის, სამშობლოს ეკონომიური, პოლიტიკური და თავდაცვითი ძლიერების, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის რესპუბლიკის მშრომელთა უდიდესი შემოქმედებითი შრომის ამაღელვებელი მატიანეა.

შეინშნება დიდი გამოცდილება, რომლის საფუძველზე გაზეთი დიდ წარმატებით წყვეტს შემდგომი კომუნისტური მშენებლობის ახალ, დიდებულ ამოცანებს, რომლებიც სკკპ XXIV ყრილობამ შეიიმუშავა.

30 ივნისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში შეიკრიბნენ ქალაქის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, გაზეთების, ჟურნალების რედაქციათა, ტელევიზიისა და რადიოს, გამომცემლობათა, პოლიგრაფიული საწარმოთა მუშაკები, მუშა და სოფლის კორესპონდენტები, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, მეინერეობისა და კულტურის მოღვაწეები, ჟურნალისტები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებიდან.

პრეზიდიუმში არიან ბ. ბოგებაშვილი, ა. ინაური, შ. ბესანაძე, ო. ლოლაშვილი, ვ. მჟავანაძე, შ. ჭანტურაძე, გ. ჩაგელიშვილი, რ. მელრეველი, ჯ. პატიაშვილი.

საუბილეო საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. ბოგებაშვილმა.

საუბილეო საღამოს სპპატიო პრეზიდიუმში დიდი აღფრთოვანებით აღრჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს, რომელიც დარბაზის სიტყვას ამბობს.

— გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პირველი ნომრის გამოსვლის 50-ე წლისთავი, რომელსაც ჩვენ დღეს აღვნიშნავთ, — თქვა ვ. მჟავანაძემ, — დიდი, ღირსშესანიშნავი მოვლენაა მთელი ქართული ხალხთა ეროვნული ცხოვრების ისტორიაში.

ამ წლების მანძილზე „ზარია ვოსტოკამ“ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. იგი მუშამ იყო საქართველოს კომპარტიის მებრძოლი თანაშემწე, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების დაუცხრომელი პროპაგანდისტი, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის აქტიური მებრძოლი.

თავისი ნახევარი საუკუნის საქმიანობის განმავლობაში „ზარია ვოსტოკა“ ერთგულად ემსახურება პარტიასა და ხალხს. პირველი ხუთწლედების წლებში, დიდი სამამულო ომის პირობებში, სახალხო მეურნეობის აღდგენის წლებში და ახლა გაზეთი ეხმარებოდა და ეხმარება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში.

„ზარია ვოსტოკას“ არაერთხელ გამოუერთია კარგი თაოსნობა, მხურვალედ უჭერდა მხარს შრომითს კოლექტივებში წარმოშობილ ინიციატივას და რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასების კუთვნილებად ქცევდა მას.

ბუთი ათეული წლის მანძილზე „ზარია ვოსტოკამ“ დამსახურებული ავტორიტეტი, მრავალი ათასი მკითხველის პატივისცემა და აღიარება მოიპოვა. გაზეთის ყოველი ნომერი არის პარტიის მოწოდების სიტყვა, მამართული მასებისაკენ, რომელიც განუწყვეტლივ მშრომელებს პარტიის პოლიტიკას, ეხმარება მათ რთული და პასუხსაგები ამოცანების გადაჭრაში. ამიტომ გაზეთის იუბილე არის შიხი მკითხველების, რესპუბლიკის ყველა მშრომელთა დღესასწაული, რომლებიც მხურვალედ ულოცავენ „ზარია ვოსტოკას“ და უბერებელ ახალგაზრდობას, მებრძოლურ შეგრძნებას, ახალ შემოქმედებითს საქმეებს უსურვებენ მას.

თავის ორმოცდაათ წლისთავს „ზარია ვოსტოკა“ აღნიშნავს ღირსშესანიშნავ დროს, როცა მთელი საბჭოთა ხალხი ენერგიულად იბრძვის სკკპ XXIV ისტორიული ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის და პირველ რიგში მიმდინარე სამეურნეო წლის დავალებების ვადამდე შესრულებისათვის.

ჩვენ თქვენთან ერთად ვგებებით სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს — ჩვენი მრავალეროვანი ხალხის დიად დღესასწაულს. ვჭვრ არის, რომ გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, რომელიც მუდამ იყო ხალხთა მეგობრობის მქადაგებელი, კიდევ უფრო ფართოდ გააშუქებს სსრ კავშირის 50-ე წლისთავისათვის მზადებას, კიდევ უფრო ღრმად და მკაფიოდ გვიჩვენებს სოციალისტური ერების ამყვავებას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ხალხთა თანასწორობისა და მეგობრობის პოლიტიკის წარმატებებს.

ჩვენი ყოველდღიური სინამდვილე, თვით ცხოვრება მოხს საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ნამდვილი ძმობის ბევრ მკაფიო მაგალითს. მაგრამ აი ყველაზე უკანასკნელი, ყველაზე ახალი ფაქტი. თქვენ იცით, თუ რა ზარალი მიაყენა თბილისს კოკისპირულმა წვიმამ. შეიძლება გითხრათ, რომ ამის გამო მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ლენინგრადის, უკრაინის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის მშრომელებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებითა და სახსრებით აგვიშენონ 50-60 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლები. განა ეს არ არის მეგობრული გრძნობების გამოხატვა, განა ეს არ არის ძმური დახმარება! ამისათვის გულითად მადლობას ვუხდით.

თავისი სიტყვის დასასრულს ვ. მჟავანაძემ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის კოლექტივს უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებები ძნელ და საპატიო ეროვნულ-პატრიოტულ შრომაში, ოსტატობის დახვეწა, პარტიული პუბლიცისტიკის ქმედითობის ამაღლება, აგრეთვე ჯანმრთელობა და დიდი ბედნიერება.

შემდეგ ამხანაგმა ვ. მჟავანაძემ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციისადმი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით გაზეთის დაჯილდოების შესახებ, რომელებაც შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

მოხსენება „გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ 50 წლისაა!“ გააკეთა გაზეთის რედაქტორმა შ. ჭყონიამ. მან ლაპარაკი გაზეთის მიერ გასულ ლენინურ გზაზე, რომელიც მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იყო პარტიული სიტყვის, საქართველოს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის დიდი მიღწევების მუხლებარე პროპაგანდისტი.

დაძაბული და მუდმივი ძიება, მისწრაფება დღეს უკეთ იმუშაოს, ვიდრე გუშინ, შემართება და გაბედულება, მგზნებარე კომუნისტური პრწყინსი და მაღალი პარტიული პრინციპულობა — აი ჟურნალისტური მუშაობის საფუძველი, გაზეთის შემდგომ წარმატებათა საწინდარი.

და როცა მეორე ორმოცდაათწლეულს იწყებს, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კოლექტივი აღუთქვამს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ კვლავაც იბრძოლებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, განამტკიცებს და გაამრავლებს ბოლშევიკური პრესის საბრძოლო ტრადიციებს, ხელს შეუწყობს სსრ კავშირის ხალხთა ძმობისა და ლენინური მეგობრობის განმტკიცებას, აქტიურად მიიღებს მონაწილეობას კომუნისტური შენებლობისათვის რესპუბლიკის მშრომელთა ბრძოლაში.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კოლექტივს ძმურად მიესალმნენ საქართველოს ჟურნალისტური ოჯახის წევრები: პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმებები წაიკითხეს ამხანაგებმა ვ. ჭანტურაძემ, ნ. ბერიძემ, ვ. ჭელიძემ, ნ. ჭეიშვილმა, ნ. ჭელი

მთის ტყეებს— მაღალი პროდუქტიულობა

დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები უწოდა სკკპ XXIV ყრილობამ ქვეყნის სატყეო მეურნეობას გაუმჯობესების ტექნიკური აღჭურვისა და ქიმიზაციის საფუძველზე. სახელმწიფო სატყეო ფონდის, სატყეო რესურსებისა და მიწის უფრო სრულად გამოყენებას, ტყის პროდუქტიულობისა და თვისობრივი შემადგენლობის ვადიდებას, ტყის აღსადგენ და ტყესაცავ სამუშაოთა შესრულებას, ნარგავთა მოვლის ეფექტიანობას, ავადმყოფობისაგან, მავნებლებისა და ხანძრებისაგან მათი დაცვის გაძლიერებას.

ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა, რათა გაუმჯობესდეს მთის სატყეო მეურნეობა, გადიდდეს მთის ტყეების პროდუქტიულობა, მათი წყალდამცავი ფუნქცია და როლი ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის მთის ტყეებს უკავიათ მთელი ტყის ფართობის მესამედზე მეტი. იქ თავმოყრილია მერქნის მნიშვნელოვანი მარაგი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობაში. ამავე დროს ისინი ასრულებენ დიდმნიშვნელოვან წყალდამცავ როლს, თავიდან გვაცილებენ ფერდობებიდან ნიადაგის ჩამორეცხვას, მეწყერებისა და ნამქერების წარმოშობას, არეგულირებენ კლიმატურ პირობებს.

მთის ტყეები გავლენას ახდენენ საბალო მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარებაზე. ამ ტყეების არსებობასა და მდგომარეობაზეა დამოკიდებული წყალთა და სატრანსპორტო მეურნეობა, აგრეთვე ენერგეტიკული რესურსების შენარჩუნება და სახალხო მეურნეობის სხვა პოტენციური შესაძლებლობანი. ამასთან მთის ტყეები წარმოადგენენ ძვირფასი ნედლეულის დიდმნიშვნელოვან წყაროს, ამიტომ სახალხო მეურნეობის მწვრდი მოთხოვნილება მერქნეზე განაპირობებს მათი ექსპლოატაციის აუცილებლობას.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა განედში განლაგებული მთის ტყეები მრავალფეროვანი შემადგენლობისაა. სხვადასხვა კლიმატური და ბუნებრივი პირობები განაპირობებენ ტყეების წყალდამცავ და დამცავ ფუნქციებს.

ეს ფუნქციები განსაკუთრებით ძლიერადაა გამოხატული კავკასიის, ყირიმის, შუა აზიის მთის ტყეებში, რადგანაც ნაკლებად, იმიერკარპატის, შორეული აღმოსავლეთის, ურალის მთის ტყეებში და ყველაზე ნაკლებად — იმ ტყეებში, რომლებიც ხარობენ ქვეყნის ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთში განლაგებულ მთის სისტემების კალთებზე (ალტაი, საიანი, იმიერბაიკალი). ეს მოითხოვს მთის ტყეების დიფერენციაციას მათი დამცავუნარიანობის მიხედვით და არსებულ დაყოფაში სიზუსტის შეტანას.

მთის ტყეების მეურნეობის მეცნიერული საფუძვლების შექმნაში არის მიღწევები. შემუშავებულია მთელი რიგი ძირითადი დებულებანი ამირკავკასიის, ჩრდილოეთ კავკასიის, კარპატების, ყირიმის, ურალისა და სხვა მთის რაიონების ტყეებში მეურნეობის მოწყობილობისათვის. შესრულებულია საცდელი გამოკვლევები მთის კალთებზე ტყის აღსადგენი მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდებისა და დაზიანებული ნარგავთა რეკონსტრუქციის ხერხებზე და სხვ.

მაგრამ მთის მიტყეობების საკითხებში არსებითად ჩამორჩება სატყეო სამეურნეო მეცნიერება და ტექნიკა იმ ამოცანებს, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს და რომლებიც ასახულია სკკპ პროგრამაში, პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებში.

ამ პრობლემების, ასევე მთაგანის ტყეების უფრო შორეული პერსპექტივებისათვის გეგმების შემუშავებას მიეძღვნა სრულიად საკავშირო თათბირი მთის ტყეების პროდუქტიულობისა და ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიების წინააღმდეგ ბრძოლაში მათი დამცავი როლის გადიდების ამოცანების“ გააკეთა თბილისის მიტყეობის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა.

მოხსენებაი „სსრ კავშირის მთის ტყეების მეურნეობის გაძღოლა და მათი პროდუქტიულობისა და ნიადაგების ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი დამცავი როლის გადიდების ამოცანები“ გააკეთა თბილისის მიტყეობის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. გულისაშვილმა.

მოხსენებანი მთის ტყეებში მეურნეობის გაძღოლის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ გააკეთეს რუსეთის სფსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ცენტრის დირექტორმა ვ. პრუსალინმა, უკრაინის სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის წევრმა სამმართველოს უფროსმა პ. ტროლიმემ, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა — უზბეკეთის სსრ რესპუბლიკიდან — პ. ხკაიმოვმა, საქართველოს სსრ რესპუბლიკიდან — მ. გუჩუპამ, ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკიდან — ჯ. ბმბაევმა, სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეებმა — ყაზახეთის სსრ რესპუბლიკიდან ჯ. ზაიცევმა, სომხეთის სსრ რესპუბლიკიდან — ფ. მარკოსიანმა, თურქმენეთის სსრ რესპუბლიკიდან — მ. შორლოვმა, აზერბაიჯანის სსრ სატყეო მეურნეობის კომიტეტის სამმართველოს უფროსმა მ. ნოვრუზოვმა და თელავის სატყეო მეურნეობანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ე. ნ. ნოვიკოვი და სხვა ოფიციალური პირნი, ჩილეს მხრივ — დელეგაციის ხელმძღვანელები კ. ალტამირანო და ბ. კადემარტორი. (საკვლევი).

საჭლესის ცნობა

მ ი ფ რ ი ნ ა ვ ს „ი ნ ტ ე რ კ ო ს მ ო ს-7“

კოსმოსური სივრცის კვლევისა და გამოყენების დარგში სოციალისტური ქვეყნების თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად 1972 წლის 30 ივნისს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „ინტერკოსმოს-7“.

„ინტერკოსმოს-7“ თანამგზავრი განკუთვნილია იმისათვის, რომ განაგრძოს მზის ულტრაიისფერი და რენტგენული გამოსხივების ერთობლივი კვლევა და ამ გამოსხივების გავლენა დედამიწის ზედა ატმოსფეროს სტრუქტურაზე, რაც დაიწყეს „ინტერკოსმოს-1“ და ინტერკოსმოს-4“ თანამგზავრებმა.

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რომელიც შეიმუშავეს და დაამზადეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტებმა.

„ინტერკოსმოს-7“ თანამგზავრი გაყვანილია ორბიტაზე, რომლის პარამეტრებია: მინიმალური (პერიგეა) — 267 კილომეტრი; მაქსიმალური (აპოგეა) — 568 კილომეტრი; დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი „ინტერკოსმოს-7“. მისი დახრილობა — 48,4 გრადუსი.

თანამგზავრის გაშვებამდე მომზადების დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტები მონაწილეობდნენ თანამგზავრზე სამეცნიერო აპარატების დამონტაჟებისა და გამოცდაში.

თანამგზავრის ფრენის მართვას ახორციელებს ოპერატიული ჯგუფი, რომელიც შედგება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სპეციალისტებისაგან.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

გასაზომი კომპლექსის მიწისზედა სადგურები იღებენ თანამგზავრიდან გამოგზავნილ სამეცნიერო ინფორმაციას.

„ინტერკოსმოს-7“ თანამგზავრზე გაზომვებთან ერთად სოციალისტური ქვეყნების ობსერვატორიები ეწევიან რადიოასტრონომიულ, ატმოსფერულ ოპტიკურ დაკვირვებებს შერჩეული პროგრამის მიხედვით.

ე რ თ ა დ მ ი ფ რ ი ნ ა ვ ს ო რ ი ა ვ ტ ო მ ა ტ უ რ ი ს ა დ გ უ რ ი „ პ რ ო გ ნ ო ზ ი “

ი ც ი ს ი ზ ი თ, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს მზის აქტივობის, საპლანეტთაშორისო გარემოსა და დედამიწის მაგნიტოსფეროზე მისი გავლენის პროცესთა კვლევა, რომელიც „პროგნოზ“ სადგურმა დაიწყო, 1972 წლის 29 ივნისს 6 საათსა და 47 წუთზე მოსკოვის დროით საბჭოთა კავშირში გაუშვეს ავტომატური სადგური „პროგნოზ-2“.

ერთობლივი მეცნიერული ექსპერიმენტები, რომლებსაც განახორციელებს ფრენის დროს დედამიწისირგვლივ მაღალელიფსურ ორბიტებზე გაყვანილი ორი ავტომატური სადგური „პროგნოზი“, კოსმოსური სივრცის კვლევის იმ პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც სსრ კავშირში ხორციელდება.

პროგნოზ-2“ სადგურზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა იკვლევს მზის კორპუსკულარულ, გამა და რენტგენულ გამოსხივებებს, მზის პლაზმის ნაკადებსა და მთის ურთიერთმოქმედების დედამიწის მაგნიტოსფეროსთან, აგრეთვე გარე ნაგრძობს მაგნიტური ველების შესწავლას დედამიწისირგვლივ კოსმოსურ სივრცეში.

სადგურზე აგრეთვე დადგმულია ფრანგული აპარატურა, რომელიც განახორციელებს ექსპერიმენტებს მზის ჭარის მახასიათებლების, მაგნიტოსფეროს გარეგანი არეების, მზის გამოვამოსხივების შესასწავლად და მზის წარმოშობის ნეიტრონების სპექტრალურ კოსმოსური სივრცის ათვისებასა და გამოკვლევაში საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის პროგრამის შესაბამისად.

1972 წლის 14 აპრილს გაშვებული ავტომატური სადგური „პროგნოზი“ განკუთვნილია მეცნიერულ კვლევას ფრენის დასახული პროგრამის შესაბამისად და 29 ივნისისათვის ოცდერ შემოუფრინა დედამიწას.

ავტომატური „პროგნოზი“ და „პროგნოზ-2“ სადგურებიდან მიღებულ ინფორმაციას ამუშავებენ საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრში. (საკვლევი).

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

29 ივნისს მოსკოვში სსრ კავშირისა და ჩილეს რესპუბლიკის მთავრობათა ეკონომიურ დელეგაციებს შორის დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს ორთანხმებას ორი ქვეყნის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. მთავრობათა დელეგაციებით შეთანხმებას ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტმა და თბილისის მეტყეობის ინსტიტუტმა.

მოხსენებაში აღინიშნა, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ორმხრივი ტექნიკური დახმარება სამრეწველო საწარმოების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საექსპერიმენტო ბაზების შექმნაში, ასევე ინდუსტრიული ნედლეულის, მასალების, აგრეგატების, ნახევარფაბრიკატების, ტექნიკური დოკუმენტაციის, ლიცენზიების, ნოუ-ხაუს ურთიერთმიწოდებაში. ხელშეკრულებით გათვალისწინებულია ორმხრივი ტექნიკური კონსულტაციების, სპეციალისტების გაცვლა, ტექნიკური ინფორმაციის, პატენტების, ლიტერატურის გაცვლა, ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარება, ასევე ერთობლივი ექსპედიციების ორგანიზება ნედლეულის, ენერგეტიკული რესურსების, ტყის, ტყის ნარგავების, ნიადაგების, ნიადაგდაცვითი ტყეების, ტყის ეკონომიური ეფექტიანობის, ტყის ნარგავების ეროზიისაგან დაცვის, ტყის ნარგავების ქიმიური დაცვის, ტყის ნარგავების ქიმიური დაცვის, ტყის ნარგავების ქიმიური

ქარიზი

ჩვენი შუადღიური გაზეთი

1 ნოემბერი 1970 წელი

უნივერსალური მილნები

ᲕᲘ ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნა საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში საფრანგეთის კომპარტიის ვეტერანმა, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა ჟაკ დიუკლომ.

ფრანგი კომუნისტებისათვის, თქვა მან, სსრ კავშირის შექმნა იმ დიდი პრობლემის გადაჭრის მაგალითია, რომელიც იდგა საბჭოეთის წინაშე და რომელიც დგას ახლა ზოგიერთი ქვეყნის წინაშე. საჭირო იყო გადაეჭრათ საკითხი, თუ როგორ გაეერთიანებინათ სხვადასხვა ხალხი ერთ სოციალისტურ სახელმწიფოში.

ამისათვის უნდა ჰქონოდათ ფართო მსოფლმხედველობა, და ფრანგმა კომუნისტებმა კარგად იციან, თუ რა ბრძოლა უნდა ეწარმოებინა ვ. ი. ლენინს იმათ წინააღმდეგ, ვინც იცავდა დიდმპყრობელური შოვინიზმის იდეებს და ამით შეზღუდულად უდგებოდა ეროვნული საკითხის გადაჭრას.

ვ. ი. ლენინი იცავდა მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს თეორიას, თქვა ჟ. დიუკლომ, რომელსაც ხორცი შეესხა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნით.

სხვადასხვა ხალხის შეკავშირება, თქვა შემდეგ საფრანგეთის კომპარტიის ვეტერანმა, რომელთა ჩამოთვლაც კი ძნელია, ერთსა და იგივე კავშირში, მათი ეროვნული პატრიოტიზმის შენარჩუნება და ამავე დროს მათი გადაქცევა ნამდვილ საბჭოთა პატრიოტებად, — ეს არაჩვეულებრივი მიღწევაა. იგი მაუწყებელია იმისა, რაც, ალბათ, განხორციელდება მომავალში უფრო ფართო მასშტაბით. სწორედ ეს არის, განაცხადა ა. დიუკლომ, ვ. ი. ლენინის დიდი დამსახურება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ახალ სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს.

საბრძოლო მოქმედება სამხრეთ ვიეტნამში

ნიუ-იორკი, 30 ივნისი. (საკდესი). გუშინ კუანგჩის პროვინციაში სამხრეთიდან შეჭრილი 20 ათასი საიგონელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი და საჰაერო მედესანტე წინ ვერ მიიწევს და მნიშვნელოვან ზარალს განიცდის სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ძალების არტილერიის განუწყვეტელი ცეცხლის გამო ბომბებითა და უუმბარებით გადათხრილ № 1 სტრატეგიულ გზაზე.

ათასზე მეტი მედესანტე გადაჰხდა დღეს ქვეშრობის დიუნებზე ქალაქ კუანგჩის ჩრდილოეთით და ცდილობს ცეცხლი დაუშინოს განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების პოზიციებს ზურგიდან.

როგორც საინფორმაციო სააგენტოთა ცნობები მოწმობენ, პატრიოტებმა გუშინ საღამოს შეაჩერეს მოწინააღმდეგის ძირითადი ძალების წინსვლა ჰაილანგის მახლობლად 9 კილომეტრზე ქალაქ კუანგჩიდან. განთავისუფლებულ ულ რაიონებში შეჭრილი საიგონის ჯარების ჯგუფი მომწყვდეულია სანაპიროს ციწრო ზოლში № 1 გზასა და ზღვას შორის.

ამავე დროს გაძლიერდა ბრძოლები მეზობელი თხიათხიენის პროვინციაში, ამ პროვინციის შთაგარი ქალაქის — ჰიუეს დასავლეთ მისადგომებთან. შავი კვამლის გიგანტურმა ღრუბელმა დაფარა გუშინ მარიონეტული ჯარების პოზიციები მდინარე მიტიანის სამხრეთ ნაპირზე, ჰიუეს ჩრდილოეთით 35 კილომეტრზე.

პატრიოტებმა ცეცხლი დაუშინეს საბრძოლო მასალებისა და საწვავის საწყობებს, ავრეთვე მოწინააღმდეგის საარტილერიო ბატარეებს. მარიონეტთა სარდლობა ახალ-ახალ მაშველ ძალებს გზავნის ამ რაიონში. გუშინ საიგონიდან იქ ჩავიდა კიდევ ერთი ავიასადესანტო ბრიგადა.

ჰანოი, 30 ივნისი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ივნისში — მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი მიაყენეს.

ბინდინის პროვინციაში ცენტრალური ვიეტნამის სანაპიროზე ივნისის 20 დღის განმავლობაში განთავისუფლების არმიის ქვეგანყოფილებებმა მწყობრიდან გამოიყვანეს საიგონის არმიისა და სამხრეთ კორეელ დაქირავებულთა დაახლოებით 3.500 ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 15 სამხედრო მანქანა, ჩამოაგდეს 18 ვერტმფრინავი, ხელთ იგდეს 300-ზე მეტი ერთეული თოფი, ათეულობით სატყვიამფრქვევი და საბრძოლო მასალების 6 საწყობი.

მეზობელ კუანგნგაის პროვინციაში ამავე პერიოდში სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დახოცეს, დაჭრეს და დატყვევეს ათასზე მეტი მტრის ჯარისკაცი, ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი იარაღი.

ცენტრალური ნამბოს რაიონში (შეკონგის დელტა) 9-დან 15 ივნისამდე განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა მოსპეს მოწინააღმდეგის 1.350 ჯარისკაცი, ჩამოაგდეს 10 ვერტმფრინავი, გაანადგურეს 24 სამხედრო მანქანა.

ჰანოი, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს აქ გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილებამ მოაწყო ვიეტნამელი და უცხოელი კორესპონდენტებისათვის. შეკრებილთ წარუდგინეს 14 ამერიკელი მფრინავი, რომელთა თვითმფრინავები ჩამოაგდეს ჩრდილოეთ ვიეტნამის სხვადასხვა რაიონში. ამ წლის აპრილ-ივნისში.

ამბები

● **„მაღალი კულტურა და ოსტატობა,**—ასე აფასებენ რუანდის მცხოვრებნი საბჭოთა ესტრადის მსახიობთა გასტროლებს ფრიკის ამ რესპუბლიკაში. ათი დღის მანძილზე სტუმრობდა 12 კონცერტი გამართეს ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, და ყველგან მოსკოვის, საქართველოს, ბაშკირეთის, ახერბაიჯანის, უკრაინისა და ბალტიისპირეთის ხელოვნების წარმომადგენლებს აღტაცებით ხვდებოდნენ.

● **გაფიცულთა გამარჯვებით** დამთავრდა აფრიკელ ავტობუსის მძღოლთა გაფიცება სამხრეთ როდეზიის დედაქალაქ სოლსბერში და ქვეყნის დიდ სამრეწველო ცენტრში ქალაქ ბულავაიოში.

● **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის** საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი პ. ფრანკი პრაღას გაემგზავრა. იგი მოლაპარაკებას გამართავს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან ი. გეტცთან ჩეხოსლოვაკიასა და გფრ-ს შორის ურთიერთობის მოწესრიგების საკითხზე.

● **ორი სამგზავრო** თვითმფრინავი დაეჯახა ერთმანეთს უინებაგოს ტბის თავზე (აშშ, ვისკონსინის შტატი). 13 კაცი დაიღუპა.

● **ლუგანის (გზრ) სასამართლომ** სასჯელისგან იხსნა სამხედრო დამნაშავე გ. კასპერი, რომელიც მონაწილეობდა სოფელ ბორისოვკის 169 მცხოვრების გაჟლეტაში საბჭოთა უკრაინის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. 1942 წელს კასპერი სადამსჯელო რაზმში მსახურობდა. მიუხედავად ამისა, სასაცილო საბაბით სასამართლომ ნაცისტ ჯალათს „გასამართლებელი განაჩენი“ გამოუტანა.

● **მორიგი პროვოკაციული** გამოხდომა მოახდინეს მოფაშისტე არამზადებმა. მათ ცეცხლგამჩენ ნარევით სავსე რამდენიმე ბოთლი შეაგდეს იტალიის კომუნისტური პარტიის რომის ერთერთი სექციის შენობაში. დაიწყო ხანძარი, რის შედეგად შენობა დაზიანდა.

● **1969 წლის აგვისტოდან,** როცა პროტესტანტმა ულტრებმა დაიწყეს აქტიური გამოხდომები მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ, როცა დაიწყო შეტაკებანი ინგლისის საოკუპაციო არმიასთან, ოლსტერში დაბოცეს 389 კაცი, დაჭრეს დაახლოებით 8 ათასი, თითქმის 1.700-ჯერ ააფეთქეს ბომბები.

● **ᲕᲫᲘᲓᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ** ბელგიუმში (ინგლისი) საჰაერო კატასტროფის შედეგად. რეაქტიულმა თვითმფრინავმა, რომელიც დასავლეთ გერმანიის კომპანია „ლუფტგანზას“ ეკუთვნოდა, ავარია განიცადა მალე აფრენის შემდეგ.

ვ. კენედის განცხადება

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). სენატორმა ე. კენედიმ გააკრიტიკა პენტაგონის ის მისწრაფება, რომ მოაწონებინოს კონგრესს შეიარაღების ახალი, მეტისმეტად ძვირი და ზედმეტი პროგრამები.

სენატის საგარეო საქმეთა კომისიაში, რომელიც კვლავ განიხილავს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულებას რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის შესახებ და დროებით შეთანხმებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის დარგში ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ, კენედიმ განაცხადა, რომ „თავდაცვის სამინისტრო ცდილობს მოარბიოს დამატებითი ასიგნებანი იარაღის სისტემათა შესაქმნელად, რომლებიც არ სჭირდებათ ჩვენს სტრატეგიულ ძალებს“.

მიესალმა რა პრეზიდენტ ნიქსონსა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოსკოვის მოლაპარაკების შედეგებს, კენედიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიღწეული შეთანხმებანი ხელს უწყობენ შეერთებული შტატების უშიშროების განმტკიცებას, ვინაიდან ისინი „შეიცავენ ორივე მხარის ვალდებულებას — შეაჩერონ გამალებული ატომური შეიარაღება“.

ინგლისის მშრომელთა საოჯახო ბიუჯეტის თითქმის ნახევარს ნთქავს ბინის ქირა და გადასახადები კომუნალურ მომსახურებაზე (გაზეთებიდან).

ბინის ქირის უღელქვეშ

ვ. ლუშიკის ნახ.

ნიუ-იორკი ახალი მხილებანი

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). გაზეთები „ვაშინგტონ პოსტი“ და „ნიუ-იორკ ტაიმსი“ აქვეყნებენ პენტაგონის ახალი დოკუმენტების სერიას, რომლებშიც მხილებულია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ფარული მხარეები.

დოკუმენტები ეძღვნება ამერიკის 1965-1968 წლების დიპლომატიურ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ვიეტნამის ომთან. ისინი შეადგენენ პენტაგონის დღემდე გამოუქვეყნებელი მასალების ნაწილს, რომლებიც საქმე ეხებოდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მოშთაგვებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

შინაარსი პენტაგონის 43 ტომი საიდუმლო დოკუმენტებისა ვიეტნამის ომის შესახებ, როგორც უკვე ვიუწყებოდით, ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მეცნიერმა დანიელ ელსბერგმა გამოსაქვეყნებლად გადასცა ისინი პრესას. დოკუმენტების გამოქვეყნებამ პოლიტიკური სკანდალი გამოიწვია ქვეყანაში, რასაც მოჰყვა სასამართლო საქმის აღძრა დოქტორ ელსბერგის წინააღმდეგ.

ახალი დოკუმენტები ადასტურებენ, რომ ამერიკის მთავარი მიზანი იმ პერიოდში იყო ის, რომ დიპლომატიის საშუალებით მიეღწია შედეგებისათვის, რომლებსაც ვერ მიაღწია იარაღის ძალით, სახელდობრ — შეენარჩუნებინა სამხრეთ ვიეტნამში საიგონის მარიონეტული რეჟიმი, მოეცვია იგი შეერთებული შტატების სრული კონტროლის ქვეშ.

ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატია ამასთან ცნობდა მხოლოდ ერთი სახეობის მოლაპარაკებას — მოლაპარაკებას ძალის პოზიციდან. მისი მოქმედება იმ პერიოდში მჭიდროდ იყო დაკავშირებული სამხრ ოპერაციებთან სამხრეთ ვიეტნამში და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მასირებულ დაბომბვასთან.

სკანდალი ნიუ-ჯერსში

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). შეერთებულ შტატებში მოხდა მორიგი პოლიტიკური სკანდალი. ნიუ-ჯერსის შტატის მდივანს პოლ შერვინს — მეორე პირს გუბერნატორის შემდეგ — წაუყენეს ბრალდება, რომ მიიღო 10 ათასი დოლარი ქრთამად, ხოლო ფული გადასცა რესპუბლიკური პარტიის საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად 1970 წელს. დამახასიათებელია, რომ 1969 წლის არჩევნებში რესპუბლიკური პარტია ნიუ-ჯერსის შტატში გამოდიოდა დემონშავეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგებით.

ჟენევის ულტიმატუმი

ᲘᲕ ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ჩრდილოეთ ირლანდიაში პროტესტანტი ულტრები ცდილობენ პროვოკაციულად გამოიწვიონ ახალი შეტაკებები და მოკალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთა დარბევა.

პროტესტანტ ექსტრემისტთა აგრესიულმა ორგანიზაციამ „ოლსტერის თავდაცვის ასოციაციამ“ ულტიმატუმი წარუდგინა ინგლისს ჩრდილოეთ ირლანდიის საქმეთა მინისტრის უ. უაიტლოუს, მოსთხოვა დაუყოვნებლივ მოაშლევინოს ბარიკადები ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქების კათოლიკურ გეტოებში.

წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმუქრებიან, რომ შაბათიდან მიმართავენ „გადამწყვეტ მოქმედებას“, სახელდობრ ოლსტერის კათოლიკური რაიონების სრულ ბლოკირებას და წყლის, ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდებასაც შეუწყვეტენ ამ უბნებს.

ულტიმატუმი წარუდგინეს მიუხედავად იმისა, რომ „ოლსტერის თავდაცვის ასოციაციის“ ლიდერებთან გუშინდელი შეხვედრის დროს უაიტლოუმ აღუთქვა, რომ ინგლისის ჯარები იმპარიულ ღონისძიებებს, რათა მაშინვე ბარიკადები კათოლიკურ გეტოებში.

პროტესტანტ ექსტრემისტთა ულტიმატუმი, პრესის აზრით, ქმნის საფრთხეს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში დაიწყება ნამდვილი სამოქალაქო ომი. ულტიმატუმის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია ინგლისსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ლონდონის პოლიტიკა ოლსტერში ჩაიფუშა.

ქრიზისი გრძელდება

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). გირვანქა სტერლინგის კურსი ლონდონის ბირჟაზე ხუთშაბათს კვლავ განუხრელად დაბლა იწევდა. დოლარის მიმართ იგი შემცირდა 5,3 პროცენტით ვრცხვისამდელ პერიოდთან შედარებით.

მაგრამ ეს ციფრი სავსებით როდი გამოხატავს გირვანქა სტერლინგის გაუფასურების პროცესს.

სიტის ფინანსისტების მიაჩნიათ, რომ ფაქტიურად ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი უკანასკნელ რამდენიმე დღეში გაუფასურდა დაახლოებით 6 პროცენტით.

ᲐᲔᲠᲝᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ

ვაშინგტონი თეთრი სახლის წარმომადგენლის პრეს-კონფერენცია

30 ივნისი. (საკდესი). თეთრი სახლის პრესის საკითხთა წარმომადგენელმა პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გადაწყვიტა 1 სექტემბრისათვის 29 ათასამდე შეამციროს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის ჯარების რიცხვი.

კორესპონდენტთა კითხვებზე პასუხის გაცემისას თეთრი სახლის წარმომადგენელმა აღიარა, რომ ამჟამად 40 ათასამდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე არის მე-7 ფლოტის ხომალდებზე ინდოჩინეთის ნაპირებთან, საჰაერო ოპერაციებში კი მონაწილეობს 45 ათასამდე კაცი. ამ რაიონში მოქმედებენ ომის მთელი ისტორიის მანძილზე უდიდესი ამერიკის სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალები.

ამასთან დაკავშირებით ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახმელეთო ჯარების გამოცსადებულ ნაწილობრივ გამოყვანას კიდევ მეტად ანახალისურებს იმ სახეობათა შეიარაღებული ძალების გადიდება, რომლებიც უშუალოდ ეწევიან საბრძოლო მოქმედებას ზღვიდან და საჰაერიდან.

ჟენევა კუბა დღესასწაულს ეგებება

30 ივნისი. (საკდესი). ახლოვდება 26 ივლისი — ღირსშესანიშნავი თარიღი კუბელი ხალხის ცხოვრებაში.

1953 წლის 26 ივლისს ახალგაზრდა პატრიოტებმა ფიდელ კასტროს მეთაურობით გმირული იერიში მიიტანეს სახტიაგო დე კუბის მონკადის ყაზარმებზე. ახლა, როცა ამ ისტორიული მოვლენის 19 წლისთავისათვის ემზადებიან, ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მშრომელები დადგნენ შრომითს ვახტზე.

მათ გააჩაღეს შეჯიბრება საწარმოო დავალებების, პატრიოტიზმა და მთავრობის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. მეტალურგები, მებადურები, მეცხოველეები, მეცემენტეები, მეციტრუსეები კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

ჰავანის ნავსადგურის მუშაკებმა წამოაყენეს ლოზუნგი — შეეამცირონთ დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შესრულების ვადები. წარმატებით შრომობენ მეტალურგიული ქარხნების „ხოსე მარტისა“ და „კუბანა დე ასუკროს“ კოლექტივები.

ბელგიის მოსახლეობა

ბრიუსელი. 30 ივნისი. (საკდესი). ბელგიის მოსახლეობა 1970 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენდა 9.650.944 კაცს, გამოაცხადა ბელგიის ეკონომიკის სამინისტრომ, რომელიც იმოწმებს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს.

1961-დან 1970 წლამდე ქვეყნის მოსახლეობა 5 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1947 და 1970 წლებს შორის — 13 პროცენტით.

ჟენევა ვატიკანს დასკვნები გამოაქვს

30 ივნისი. (საკდესი). პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პოლონეთის ხელისუფალნი დადებითად ეკიდებიან ვატიკანის გადაწყვეტილებას — რომის კათოლიკური ეკლესიის ადმინისტრაციის საზღვრები შეუსაბამოს პოლონეთის სახელმწიფოს დასავლეთ საზღვრებს.

ეს გადაწყვეტილება, აღნიშნულია განცხადებაში, შეესაბამება მოთხოვნას, რომელიც არაერთხელ აღუძრავთ პოლონელ კათოლიკეებს ვატიკანის წინაშე. ეს ნაბიჯი ნიშნავს, რომ ვატიკანმა გამოიტანა დასკვნები უკვე 27 წელიწადია არსებული რეალური ტერიტორიულ-პოლიტიკური ვითარებიდან, რომელიც საყოველთაოდ ცნეს და სადაოდ არ ხდის დღეს მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფო მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა პოლონეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება.

ფაქტები

ჟენევა კაცობრიობის ორი მთავარი პრობლემა

ჟენევა ომი ვიეტნამში

ჟენევა ნიუ-იორკი

ჟენევა ნიუ-ჯერსი

ჟენევა ვატიკანი

ჟენევა ბელგია

ჟენევა ფაქტები

ᲙᲔᲠᲫ. ხელისუფლების სათავეში პრეზიდენტ ველასკო ალვარადოს მთავრობის მოსვლის შემდეგ გამოქვეყნდა სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა პროგრამა, რომელიც უკვე ხორციელდება. დიიწყო შეტევა სიღატაკეზე, ჩამორჩენილობასა და სოციალურ უთანასწორობაზე, სამედიცინო კადრების ნაკლებობის გამო პერუში გაიხსნა მედიცინის დების მოსამზადებელი რამდენიმე სასწავლებელი.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: დანიელია დე კარიონას საავადმყოფოსთან არსებული სასწავლებელი. მტს-სპდესის ფოტო.

ტუნისი ჟ. პომპიდუს ინტერვიუ

30 ივნისი. (საკდესი). საფრანგეთის პრეზიდენტი ჟ. პომპიდუ ტუნისის გაზეთ „პრეს დე ტუნისისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, კერძოდ, შეეხო ევროპის უშიშროების, ხმელთაშუა ზღვის რაიონისა და ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის პრობლემებს.

ჟ. პომპიდუმ განაცხადა, რომ „ევროპის უშიშროების პრობლემებზე მოსავალი თათბირის მთავარი მიზანია დაძაბულობის შერბილებისა და თანამშრომლობის განმტკიცება ევროპაში“, და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს „ბლოკების მოძველებულ გაგებას“ და ამით „აღიკვეთოს შეტაკების საფრთხე“.

საფრანგეთის პრეზიდენტმა გამოთქვა რწმენა, რომ თათბირი წარმატებით დაგვირგვინდება. ეს წარმატებანი, აღნიშნა მან, აუცილებლად კეთილნაყოფიერ ზემოქმედებას მოახდენენ შორს ევროპის ფარგლებს გარეთ, ჯერჯერობ ხმელთაშუა ზღვის რაიონში, ჟ. პომპიდუ შეეხო საფრანგეთის პოზიციას ახლო აღმოსავლეთის კრიზისის მიმართ და თქვა, რომ საფრანგეთის მთავრობა ყურადღებით აღევნებს თვალს ამ რაიონის მდგომარეობას, „რომელსაც არა მარტო უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის, არამედ საფრთხესაც უქმნის მშვიდობის საქმეს“.

როგორც მან აღნიშნა, საფრანგეთი აგვლავინდებურად მზად არის გამოიყენოს მთელი თავისი გავლენა, რათა ხელი შეუწყოს მოწესრიგების ახლო აღმოსავლეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესაბამისად, და მზად არის ყოველნაირად შეუწყოს ხელი იარინგის მისიის მუშაობას.

ჟენევა კუბა დღესასწაულს ეგებება

ჟენევა ვატიკანს დასკვნები გამოაქვს

ჟენევა ბელგიის მოსახლეობა

ჟენევა ფაქტები

რა არ ხდება ქვეყნად

„ოტელო“... უოტელოდ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ). ინგლისელმა დრამატურგმა დონალდ ჰოვარტმა გადაწყვიტა დაგვას შექსპირის ტრაგედია „ოტელო“... უოტელოდ.

შესაძლოა, მას ესმოდენ ბოდვითი აზრი არ დაებადებოდა, ის განსაკუთრებული პირობები რომ არა, რომელშიც მუშაობა მოუხდა.

ჰოვარტს შესთავაზეს დაედგა „ოტელო“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, იქაური რასისტული კანონები კი ვერ დაუშვებენ, რომ შავკანიანი მავრი თეთრკანიანებთან ერთად მოქმედებდეს, ხოლო თეთრკანიან დეზდემონას შავკანიანი ოტელო უყვარდეს.

პრეტორიის რასისტმა ხელისუფლებამ გადაწყვიტეს, რომ აპარტეიდის კანონები ყველაზე მაღლა უნდა იდგეს, და ამიტომ „ოტელოს“ ყველა პერსონაჟი უნდა იყოს ან შავკანიანი, ანდა თეთრკანიანი.

ბუნებრივია, პატრონები ბელოვანი არ შეურაცხყოფდა შექსპირის გენიას, მაგრამ ასეთი როდი გახლავთ ჰოვარტი. მან დაწერა „ოტელოს“ თავისებური ვერსია, რომლიდანაც გამოირიცხა მავრი.

წარმოქმნილი „ვოკუუმი“ რომ შეეხსო, ჰოვარტმა შეაფასა სამი ახალი პერსონაჟი.

მათ რიგრიგობით უნდა წარმოთქვან ოტელოს მონოლოგები.

ფაქტები

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველები თბილისიდან მ. ოთარაშვილი, დ. ქავთარაძე, ბ. ბერძენიშვილი, დ. ჯიმშელეიშვილი და სხვები გვეკითხებიან, თუ როგორ ხდება პრეზიდენტის კანდიდატურის წამოყენება და მისი არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ვუპასუხებთ მათს კითხვას

როგორ ირჩევენ პრეზიდენტს?

გვეკითხებიან, ვუპასუხებთ

ყოველ ნაკიან წელიწადს, ნოემბრის თვის პირველ სამშაბათს (იგი წელს 7 ნოემბერზე მოდის), როგორც შეერთებულ შტატებში ამბობენ—„ამერიკელი ხალხი ირჩევს“ პრეზიდენტს, ადამიანს, რომელსაც ენიჭება უზარმაზარი აღმასრულებელი ძალაუფლება, პრეზიდენტის არჩევნები და ამ არჩევნებთან დაკავშირებული ბრძოლის მომქანცველი მარათონი უდავოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა როგორც თვით ქვეყნის ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო თვალსაზრისითაც.

ახლა შეერთებულ შტატებში წინააარჩევნო კამპანია ე. წ. „პრაიმერიზ“ უკვე დამთავრდა. მისი შედეგები იმდენად ურთიერთსაწინააღმდეგოა, რომ ვერავინ ბედავს ნიქსონის მეტოქის დასახელებას დემოკრატიული პარტიისაგან. და თუმცა უკანასკნელ „პრაიმერიზებში“ დამაჯერებლად დაწინაურდა სენატორი მაკგოვერნი, მაგრამ მას „ლიბერალობას“ სწამებენ, რაც ამერიკული გაგებით არც თუ სახარბიელო იარლიყია.

ამიტომ დემოკრატთა ყრილობაზე მაიამი-ბიჩში 10 ივლისს ნებისმიერი სიურპრიზია მოსალოდნელი.

პრეზიდენტის ამერიკული არჩევნების რიული პროცედურა, მხოლოდ ამერიკისათვის დამახასიათებელი საარჩევნო ბრძოლის მეთოდები ყოველთვის იწვევდა და იწვევს ერთგვარ გაუგებრობას და გაკვირვებასაც კი. როგორ ხდება უშუალოდ პრეზიდენტის არჩევა? როგორია პრეტენდენტის წამოყენების პროცედურა? როგორ ხდება ხმების დათვლა და ა. შ. აი საკითხები, რომელთა გარკვევა არაამერიკელისთვის არც თუ იოლი საქმეა.

არჩევნების სისტემა განპირობებულია აშშ-ის კონსტიტუციით, რომლის მიხედვით პრეზიდენტის არჩევნები ხდება არა პირდაპირი ხმის მიცემით, არამედ ამომრჩეველთა კოლეგიის საშუალებით. ყოველი შტატი ირჩევს კოლეგიას, რომელთა რიცხვიც უდრის ამ შტატის წარმომადგენელთა რიცხვს ორივე საკანონმდებლო პალატაში. ამდენად კონსტიტუციის მიხედვით არჩევნები მრავალსაფეხურიანია.

ასეთი სისტემის არსი იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ამომრჩევლებმა ითქმედონ დამოუკიდებლად, პოლიტიკური პარტიების ზეგავლენის გარეშე, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაა. ამომრჩეველთა კოლეგიის წევრები ყოველი შტატიდან ცალ-ცალკე ირჩევა, ხოლო ისინი თავის მხრივ ხმას აძლევენ როგორც ამ შტატისაგან დამოუკიდებელი ერთეულები, ამიტომ სულ უმცირეს გადახრასაც კი რომელიმე პარტიის სასარგებლოდ გადაწყვეტს მნიშვნელობა აქვს და უზრუნველყოფს მის გამარჯვებას მთელი შტატის არჩევნების დროს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური პარტიები დაახლოებით 150 წლის წინათ შეიქმნა. ამჟამად შტატებში მრავალი პოლიტიკური პარტიაა, მაგრამ ქვეყნის ცხოვრებაში გადამწყვეტ როლს მხოლოდ ორი პარტია ასრულებს; ესენია დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები. ორივე მათგანს ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, საკმაოდ დიდი გამოცდილება და პრაქტიკა აქვს. მათ პოლიტიკურ პლატფორმებს შორის ძირეული განსხვავება არ არის. ისინი მხოლოდ მეთოდებით თუ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ერთი და იგივე მიზნებისა თუ იდეების განხორციელებაში, რომლებიც მათთვის გამოთქმით — „აუცილებელია ქვეყნის კეთილდღეობისათვის“.

კანდიდატის წამოყენება პრეზიდენტის პოსტზე პარტიის ყრილობაზე ხდება, რომელსაც არჩევნებამდე, ჩვეულებისამებრ ხაფხულობით იწვევენ. ყოველ შტატის დელეგაციის გამოძახება ხდება რიგრიგობით. ისინი თავის მხრივ ასახელებენ თავიანთ კანდიდატს, რის შემდეგაც იწყება ხმის მიცემა. ამ დროს მთელ ქვეყანას საცირკო ან სპორტული სანახაობის აჟიოტაჟი ეუფლება. ყველა დიდი ინტერვიით ადევნებს თვალს ყრილობის მსვლელობას. ყოველი კენჭისყრის შედეგებს აცხადებს თავმჯდომარე. ხშირია შემთხვევა, როდესაც ფავორიტად პირველ ტურშივე იღებს ხმათა უმრავლესობას, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, მაშინ ყრილობა ატარებს მეორე, მესამე და მომდევნო ტურებს, ვიდრე რომელიმე მათგანი არ მიიღებს უმრავლესობას.

ბოლოს, როდესაც, ყრილობის დელეგატთა უმრავლესობა ხმას მისცემს ერთ-ერთ კანდიდატს, მექანიკურად დანარჩენი ხმებიც მას ეძლევა და იგი ერთხმად არჩეულად ცხადდება, შემდეგ იწყება ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატურის წამოყენების პროცედურა, რომელიც როგორც წესი, უკვე გამარჯვებული პრეტენდენტის სასურველი პირია პოლიტიკური თვალსაზრისით.

ამერიკის შეერთებული შტატების ორივე წამყვანი პარტიის პოლიტიკური ბურუმენტი არჩევნების დროს არის მათი ისტორიული პრინციპების ქებადიდება, პარტიის ტრადიციებისათვის ხოტბის შესხმა, მის სახელგანთქმულ ლიდერთა ცამდე აყვანა, ხოლო თუ ეს ხელისუფლების სათავეში მყოფი პარტიის ყრილობაა, მაშინ ყველას იმას სჩრიან თვალში, თუ რამდენი რამ გაკეთდა განვლილ ოთხ წელიწადში, როგორ იღწვოდა პარტია ქვეყნის ბედნიერებისათვის, ამასთან ერთად, რაღა თქმა უნდა მიმდინარეობს ოპოზიციური პარტიის პოლიტიკის კრიტიკა.

პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმები, რასაკვირველია, სხვმოთ დიზით შეიცავენ აქტუალურ საკითხებს, როგორიც არის ომისა და თავდაცვის პრობლემები, საგარეო პოლიტიკა, გადასახადები, გარემოს გაჯანსაღება, დეპრესია, ფინანსები, უმუშევრობა და ა. შ. დაპირებები მართლაც ბევრია, მაგრამ მათი განხორციელება ყოველთვის „ვერ ხერხდება შემდგომი მდგომარეობის“ გამო, ხოლო ზოგჯერ ახლად არჩეული პრეზიდენტი უარს აცხადებს თანმიმდევრულად განახორციელოს ზოგიერთი მისი პუნქტები.

ამერიკელებმა კარგად იციან, რომ იმ პოლიტიკის სადავე

КОМУНИСТИН ИНДЕКС 66113 ЗЗ 02584

Ньа. 45 (14-ан) 2-ан ноябрь 3809ОВ ворхалла-В, гергелан ц. 14.

ГЕРГЕЛАН ЧУЛАЦАМ ЙОЛУ ГЕЗЕТ

850005 ворхалла-В, гергелан ц. 14. Йолу гезетан редакцин телефонаш: дешнийн секретарин — 99-87-61. Хьехархойн — 99-33-03. 99-02 09. 3/8 йолу гезет — 99-12-30. Хьалхарчу пайхамарийн — 99-66-10. Хьалхарчу пайхамарийн ворхалла-В, гергелан ц. 14. Йолу гезетан редакцин коллектива, 1970 гезетан дешнийн Ленинан орденан Октябрь революцин орденан Йолу Байракан Ленинан комсомолан Йолу Байракан Гергелан областан Советийн депутатийн трудящийн Йолу Байракан Гергелан областан комитетан органан.

Гергелан ЙОЛУ ГЕЗЕТ

Ц. ВОРХАЛЛА ГЕЗЕТАН

ДЕШНИЙН ТЕЛЕФОНАШ

Дешнийн секретарин — 99-87-61, хьехархойн — 99-33-03, 99-02 09, 3/8 йолу гезет — 99-12-30, хьалхарчу пайхамарийн — 99-66-10, хьалхарчу пайхамарийн ворхалла-В, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-70, дешнийн отдел — 99-60-21, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-90, спортан отдел — 99-60-01, редакцин секретарь — 99-33-03, дешнийн бюро — 99-44-46, хьалхарчу пайхамарийн — 99-22-93, йолу гезетан бюро — 99-20-84, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-37-55.

ГЕЗЕТАН ЦЕНА ЙОЛУ ГЕЗЕТАН ЙОЛУ ГЕЗЕТАН ЦЕНА

ГЕРГЕЛАН ЧУЛАЦАМ ЙОЛУ ГЕЗЕТ

Ц. ВОРХАЛЛА ГЕЗЕТАН ДЕШНИЙН ТЕЛЕФОНАШ

Дешнийн секретарин — 99-87-61, хьехархойн — 99-33-03, 99-02 09, 3/8 йолу гезет — 99-12-30, хьалхарчу пайхамарийн — 99-66-10, хьалхарчу пайхамарийн ворхалла-В, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-70, дешнийн отдел — 99-60-21, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-90, спортан отдел — 99-60-01, редакцин секретарь — 99-33-03, дешнийн бюро — 99-44-46, хьалхарчу пайхамарийн — 99-22-93, йолу гезетан бюро — 99-20-84, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-37-55.

1970 ГЕЗЕТАН ЙОЛУ ГЕЗЕТАН ЦЕНА

Ц. ВОРХАЛЛА ГЕЗЕТАН

ДЕШНИЙН ТЕЛЕФОНАШ

Дешнийн секретарин — 99-87-61, хьехархойн — 99-33-03, 99-02 09, 3/8 йолу гезет — 99-12-30, хьалхарчу пайхамарийн — 99-66-10, хьалхарчу пайхамарийн ворхалла-В, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-70, дешнийн отдел — 99-60-21, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-90, спортан отдел — 99-60-01, редакцин секретарь — 99-33-03, дешнийн бюро — 99-44-46, хьалхарчу пайхамарийн — 99-22-93, йолу гезетан бюро — 99-20-84, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-37-55.

ГЕРГЕЛАН ЧУЛАЦАМ ЙОЛУ ГЕЗЕТ

ЛЕНИНАН ОРДЕНАН ОКТЯБРЬ РЕВОЛЮЦИН ОРДЕНАН ЙОЛУ БАЙРАКАН ЛЕНИНАН КОМСОМОЛАН ЙОЛУ БАЙРАКАН ГЕРГЕЛАН ОБЛАСТАН ТРУДЯЩИЙН ДЕПУТАТИЙН СОВЕТИЙН ГЕРГЕЛАН ОБЛАСТАН КОМИТЕТАН ОРГАН

Гергелан ЙОЛУ ГЕЗЕТ

Ц. ВОРХАЛЛА ГЕЗЕТАН

ДЕШНИЙН ТЕЛЕФОНАШ

Дешнийн секретарин — 99-87-61, хьехархойн — 99-33-03, 99-02 09, 3/8 йолу гезет — 99-12-30, хьалхарчу пайхамарийн — 99-66-10, хьалхарчу пайхамарийн ворхалла-В, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-70, дешнийн отдел — 99-60-21, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-90, спортан отдел — 99-60-01, редакцин секретарь — 99-33-03, дешнийн бюро — 99-44-46, хьалхарчу пайхамарийн — 99-22-93, йолу гезетан бюро — 99-20-84, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-37-55.

ГЕЗЕТАН ЦЕНА ЙОЛУ ГЕЗЕТАН ЙОЛУ ГЕЗЕТАН ЦЕНА

ГЕРГЕЛАН ЧУЛАЦАМ ЙОЛУ ГЕЗЕТ

Ц. ВОРХАЛЛА ГЕЗЕТАН ДЕШНИЙН ТЕЛЕФОНАШ

Дешнийн секретарин — 99-87-61, хьехархойн — 99-33-03, 99-02 09, 3/8 йолу гезет — 99-12-30, хьалхарчу пайхамарийн — 99-66-10, хьалхарчу пайхамарийн ворхалла-В, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-70, дешнийн отдел — 99-60-21, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-18-90, спортан отдел — 99-60-01, редакцин секретарь — 99-33-03, дешнийн бюро — 99-44-46, хьалхарчу пайхамарийн — 99-22-93, йолу гезетан бюро — 99-20-84, гергелан ц. 14, дешнийн бюро — 99-37-55.

ГЕЗЕТАН ЦЕНА ЙОЛУ ГЕЗЕТАН ЙОЛУ ГЕЗЕТАН ЦЕНА